



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1161-01-2-201903141225



N 01/1161

14/03/2019



აიშ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
საქართველოს რეგისტრაციის № 27705
თარიღი: 20 03 2019 წ.

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს,
ბატონ დავით ქუტიძეს
Nanovero71@gmail.com

ბატონო დავით,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მიმდინარე წლის 27 თებერვალს შემოსული თქვენი 2019 წლის 25 თებერვლის №47 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2017 წლის 13 დეკემბრის №1721-ის საქართველოს კანონით „ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის“ პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 800 000,0 ათას (რვაასი მილიონი) ლარს, ხოლო „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 13 დეკემბრის №3960-ის საქართველოს კანონით „ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის“ პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 614 780,0 ათას (ექვსას თოთხმეტი მილიონ შვიდას ოთხმოცი ათასი) ლარს, ხოლო 2018 წლის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 674 542,3 ათასი (ექვსას სამოცდათოთხმეტი მილიონ ხუთას ორმოცდაორი ათას სამასი) ლარი. ამასთანავე 2018 წლის აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 728 031,4 ათასი (შვიდას ოცდარვა მილიონ ოცდათერთმეტი ათას ოთხასი) ლარი.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 13 დეკემბრის №3960-ის საქართველოს კანონით „ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის“ პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ასიგნებების და მათი ფაქტობრივი შესრულების შესახებ ინფორმაციას წარმოგიდგენთ დანართის სახით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ჩრდილოეთ-სამხრეთ მაგისტრალი წარმოადგენს 100 (ასი)-კილომეტრიან გზას, რომელიც შედგება შემდეგი მონაკვეთებისაგან:

- ქვეშეთი-კობი;
- ალგეთი-სადახლო;
- ნატახტარი-ჟინვალი;
- ფასანაურის შემოვლითი გზა;
- არშა-სტეფანწმინდას შემოვლითი გზა;
- სტეფანწმინდა-გველეთი.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ-სამხრეთ მაგისტრალის: ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (22.7კმ) მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები; ალგეთი-სადახლოს მონაკვეთზე მოძიებულია დონორი ორგანიზაცია (EIB) და ამ ეტაპზე მიმდინარეობს

საპროექტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც დაიგეგმება სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადება; ნატახტარი-ჟინვალის მონაკვეთზე, სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთზე, ფასანაურის შემოვლით გზაზე და არმა-სტეფანწმინდის შემოვლით გზაზე დამუშავებულია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და მიმდინარეობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებები საპროექტო სამუშაოებისათვის დაფინანსების მოპოვების მიზნით.

ჩრდილოეთ-სამხრეთ მაგისტრალის მშენებლობის დასრულება იგეგმება 2023 წლისათვის.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი